ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 დეკემბრის

რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ხარაგაულში, სოლომონ მეფის შესახვევში (კერძოდ, , 9 აპრილის სახელობის სკვერში) მდებარე არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე , (ს.კ 36.01.32.240) გამოჩენილი მწერლის (დრამატურგი) და საზოგადო მოღვაწის - კიტა ბუაჩიძის ბიუსტის დასადგმელად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს: ვარლამ ჭიპაშვილი

2.“საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მერის მიერ წარმოდგენილი პროექტების დამტკიცებისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის დასახლებების მიხედვით განაწილების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 მარტის N69.6922081001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: პეტრე შარიქაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი

მოადგილე დავით კიკნაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 01 დეკემბრის რიგგარეშე სხდომის

ოქმი N 20

2022 წლის 01 დეკემბერი

დაბა ხარაგაული

9 აპრილის ქუჩა #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დავით კიკნაძე,

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ამირან ოქრომჭედლიძე, პაატა გოგოლაძე, მარინე ხვედელიძე, ბესიკ კვირიკაშვილი, პავლე კიკალიშვილი, შმაგი ხიჯაკაძე, შალვა ლურსმანაშვილი, ირმა ვაქერ - სებისკვერაძე, უშანგი ბერაძე, კიაზო გამრეკელაშვილი, ვერა ოდიკაძე, მერაბ ტალახაძე იამზე პაქსაშვილი, ლენა აბაშიძე, გოჩა გიორგიძე, ავთანდილ ვეფხვაძე, ეკატერინე შველიძე, კობა გოგსაძე, ირმა ვეფხვაძე, ომარი გაგოშიძე, კოსტანტინე ბერაძე სულ საკრებულოს 22 წევრი

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენლები:

ვარლამ ჭიპაშვილი - მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

პეტრე შარიქაძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე– საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზაალ ორბელაძე - აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულს საკითხებში

მ. შარიქაძე საკრებულოს აპარატის დამხმარე მოსამსახურე

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

მ შათირიშვილი - ა.ა.(ი)პ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრის“ ჟურნალისტი

მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის დავით კიკნაძის ინფორმაცია, რომელმაც საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ხარაგაულში, სოლომონ მეფის შესახვევში (კერძოდ, , 9 აპრილის სახელობის სკვერში) მდებარე არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე , (ს.კ 36.01.32.240) გამოჩენილი მწერლის (დრამატურგი) და საზოგადო მოღვაწის - კიტა ბუაჩიძის ბიუსტის დასადგმელად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს: ვარლამ ჭიპაშვილი

2.“საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მერის მიერ წარმოდგენილი პროექტების დამტკიცებისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის დასახლებების მიხედვით განაწილების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 მარტის N69.6922081001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: პეტრე შარიქაძე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 22 წევრი

მომხრე 22

წინააღმდეგი 0

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ვარლამ ჭიპაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ხარაგაულში, სოლომონ მეფის შესახვევში (კერძოდ, , 9 აპრილის სახელობის სკვერში) მდებარე არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე , (ს.კ 36.01.32.240) გამოჩენილი მწერლის (დრამატურგი) და საზოგადო მოღვაწის - კიტა ბუაჩიძის ბიუსტის დასადგმელად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

მ. ხვედელიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საკითხი განხილული იქნა საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომაზე და კომისიამ მხარი დაუჭირა კიტა ბუაჩიძის ბიუსტის დადგმას.

ბესიკი კვირიკაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ საკითხი განხილული იქნა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასრტუქტურის საკითხთა კომისიის სხდომაზე და კომისიამ მხარი დაუჭირა კიტა ბუაჩიძის ბიუსტის დადგმას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 22 წევრი

მომხრე 22

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა : განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის პეტრე შარიქაძის ინფორმაცია საკითხზე - "საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მერის მიერ წარმოდგენილი პროექტების დამტკიცებისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის დასახლებების მიხედვით განაწილების შესახებ" ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 მარტის N69.6922081001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

კ. გოგსაძემ, საკრებულოს წევრმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ რომელმაც აღნიშნა, რომ წინა სხდომაზე ფრაქციის თავმჯდომარის მიერ დაისვა საკითხი ჭაბურღილების შესახებ, იმის გამო, რომ ნიადაგის ჰიდროლოგიური შესწავლა არ ხდება კომპეტენტური სამსახურის მიერ ყველგან არ ამართლებს ჭაბურღილი, ტყუილად, რომ არ გადავყაროთ თანხა ვიფიქროთ კვალიფიციური ორგანიზაციის მოძიებაზე და მასთან გავაფორმოთ ხელშეკრულება ან ვიფიქროთ სხვა ალტერნატივაზე, რომ მოსახლეობას მიეწოდოს სასმელი წყალი .

შ. ხიჯაკაძემ , საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ვფიქრობ კარგი იქნება თუ გამოვიყენებთ ბუნებრივ წყაროებს, გავაკეთებთ წყალშემკრებ აუზებს და მოვამარაგებთ მოსახლეობას

დ. კიკნაძემ სხდომის თავმჯდომარემ დაავალა ბ. კვირიკაშვილს კომისიის თავმჯდომარეს ერთი სხდომა მიეძღვნა ამ პრობლემისათვის და ემსჯელა ყველა დაინტერესებულ პირთან ერთად.

ვ. ოდიკაძემ საკრებულოს წევრმა „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოდან“ კითხვით მიმართა მერის პირველ მოადგილეს ვ. ჭიპაშვილს, რომელმაც აღნიშნა, რომ დიდვაკეში ცისკაძეების უბანში გზაზე არის გაუსაძლისი მდგომარეობა, ბავშვები დადიან, გავლა შეუძლებელია, იქნებ დროებითი ღონისძიება მაინც გავაკეთოთ, რომ მოსახლეობამ შეძლოს გავლა და ჭაბურღილი, რომელიც დასრულებული არ არის იქნებ მოგვეხმაროთ.

ვ. ჭიპაშვილმა უპასუხა, რომ პრობლემა არის შევეცდებით მოვაგვაროთ, რაც შეეხება ჭაბურღილს, მშენებელთან გვაქვს კონტაქტი და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ დაასრულოს ეს პროექტი.

ი. ვეფხვაძემ, ფრაქცია „ხარაგაულისთვის“ თავმჯდომარემ რომელმაც აღნიშნა, რომ ოკიშურაში გზა დაიგო მაგრამ მანქანა ვერ გადადის, იქნებ დროებით გავაკეთოთ რამე.

ვ.ჭიპაშვილმა მერის პირველმა მოადგილემ უპასუხა, რომ როდესაც მეორე პირი გადაიგება გზა მაშინ გასწორდება, თუმცა შევეცდებით მანამდე გავატაროთ დროებითი ღონისძიება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი
კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 22 წევრი,

მომხრე 22

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა : განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე **დავით კიკნაძე**